შენიშვნების ფურცელი

საქართველოს კანონების პროექტებზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/24; 10.02.2025) – I მოსმენა.

№	ავტორი	შენიშვნა	გათვალისწინების მდგომარეობა
1	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვილების შეტანის თაობაზე 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის განხორციელების უფლება ენიჭება ყველა კერძო სამართლის არაკომერციულ პირს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ვინაიდან, მსგავსი რადიომაუწყებლობის განხორციელების მიზანი არის საკმაოდ ვიწრო და კონკრეტული (კულტურულ-შემოქმედები საქმიანობა) მიზანშეწონილია, იმ პირთა წრე, ვისაც შეეძლება მსგავსი რადიომაუწყებლობის განხორციელების უფლება დაკონკრეტდეს კანონპროექტითვე. შესაბამისად, კანონპროექტის პირველი მუხლის, პირველი პუნქტით წარმოდგენილი, კანონის მე-2 მუხლის „ჰ^{25}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ჰ^{25}) კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა - ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კულტურის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული რადიომაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის სხვადასხვა დარგის	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**

		პოპულარიზაციას, საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და რომლის მიზანი არ არის მოგების მიღება.“.	
2	**მომხსენებელი**	კანონპროექტის პირველი მუხლის, პირველი პუნქტით წარმოდგენილი, კანონის მე-2 მუხლის „ჰ[25]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[26]“ ქვეპუნქტი: „ჰ[26]) კულტურის ორგანიზაცია - „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაცია.“.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**
3	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;** **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვილების შეტანის თაობაზე პირველი მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებაზე, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მის ლეგალურ დეფინიციას. მაგალითისთვის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს მხოლოდ „კულტურის ორგანიზაციას“. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში ბუნდოვანია თუ კონკრეტულად რა დაწესებულები იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში. კომიტეტის მოსაზრებით მიზანშეწონილია კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში დაკონკრეტდეს რა იგულისხმება „კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებებში“, რადგან კანონპროექტით შემოთავაზებულია ტერმინი „კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა“, ხოლო „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ტერმინს „კულტურის ორგანიზაცია“. შესაბამისად, კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით წარმოდგენილი, კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**

		„ა“ ადმინისტრაციული ორგანო, გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კულტურის ორგანიზაციისა;“; „გ“ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, გარდა კულტურის ორგანიზაციისა.“.	
4	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	კანონპროექტის შესაბამისად, კულტურულ-შემოქმედებით რადიომაუწყებელს, გარდა ტელეშოპინგისა არ აქვს შეზღუდვა რეკლამასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ რეკლამა არის მაუწყებლების დაფინანსების წყარო. აღნიშნული ჩანაწერით კი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისთავად დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დამატებით შემოსავალ მიიღებს რეკლამირებიდან, რამაც ბაზარზე კონკურენციის დარღვევა/შეზღუდვა შესაძლოა გამოიწვიოს, მით უფრო, რომ კანონპროექტიდან გამომდინარე აღნიშნული მაუწყებელი არის არაკომერციული პირი და არ არის მოგებაზე ორიენტირებული. შესაბამისად, კანონპროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით წარმოდგენილი, კანონის 63-ე მუხლის მე-8^2 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „8^2. აკრძალულია კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის განმახორციელებელი რადიომაუწყებლის მიერ ტელეშოპინგის, რეკლამისა და პროდუქტის განთავსება.“.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**
5	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	,,მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 66^1 მუხლის თანახმად, აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3–მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე მაუწყებლის საგანმანათლებლო, კულტურული, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**

		და მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პროგრამების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაფინანსების ან თანადაფინანსების შემთხვევებისა. ცვლილების პროექტის თანახმად, კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა ,, - ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული რადიომაუწყებლობა..'' შესაბამისად, დასაზუსტებელია წარმოდგენილი კანონის პროექტის მიმართება ,,მაუწყებლობის შესახებ'' კანონის 66^1 მუხლთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის დაფინანსებასთან მიმართებით. შესაბამისად, კანონპროექტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით წარმოდგენილი, კანონის 66^1-ე მუხლის მე-4^1 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: **„4^1.** კულტურის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა შესაძლებელია დაფინანსდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“.	
6	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	კომუნიკაციების კომისიის საჯარო კონსულტაციების წესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კანონის პროექტით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მიღების 30 დღიანი ვადა დაკორექტირდეს ზემოაღნიშნული წესების გათვალისწინებით და განისაზღვროს სულ მცირე 6 თვით. შესაბამისად, კანონპროექტის მე-2 მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**

		საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2025 წლის პირველ ნოემბრამდე უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.”.	
7	**მომხსენებელი**	კანონპროექტის მე-3 მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. 1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. 2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ნოემბრიდან.”.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**
8	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	ცვლილებების პროექტის თანახმად, მაუწყებლობის სახეებს ემატება კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა, რომელიც, თავის მხრივ, კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, არის კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული რადიომაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და რომლის მიზანი არ არის მოგების მიღება. ამასთან, განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ (1) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის განხორციელების	**არ არის გათვალისწინებული**

		შესაძლებლობას და (2) კულტურულ-საგანმანათლებლო რადიომაუწყებლობის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თაობათა შორის ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციას, დეცენტრალიზაციის პროცესის დაჩქარებას, ახალი კულტურულ-შემოქმედებითი იდეების დაბადებას, განვითარებას, ხორცშესხმასა და ჩვენი ქვეყნის კულტურულ სივრცეში აკუმულირებას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილების შინაარსი მოცულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ შინაარსობრივ ვალდებულებას წარმოადგენს საგანმანათლებლო-შემეცნებითი და კულტურული პროგრამების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად (მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას (16.1 „ლ“ ქვეპუნქტი).	
9	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, გარდა უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულებისა, ხოლო ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი. ცვლილების პროექტის თანახმად კი, გამონაკლისებს ემატება კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებება. გასათვალისწინებელია, რომ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' და ,,გ''	**არ არის გათვალისწინებული**

		ქვეპუნქტების მიდგომა, ცვლილებების შემდეგ განსხვავებული იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში. კერძოდ, ცვლილების თანახმად, ლიცენზირებულ/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, გარდა კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებებისა მაშინ, როცა მსგავსი საგამონაკლისო დათქმა არ გვხვდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით. ასევე, გასათვალისწინებელია რადიოსიხშირული სპექტრის, როგორც შეზღუდული ბუნებრივი რესურსის არსებობის საკითხი ლიცენზირებისთვის. ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტით, ლიცენზირების გამონაკლისის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა შესაბამისი ცვლილებები კანონპროექტის შინაარსობრივად დაკავშირებულ მუხლებში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის თანახმად კომუნიკაციების კომისიას მიღებული აქვს 2006წ-ის 5 დეკემბრის #10 დაგდენილება, რომლითაც დადგენილია საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონები, რომელთა დაფარვაც მოუწევს ლიცენზირებულ რადიომაუწყებელს (მათ შორის კულტურულ-შემოქმედებით რადიომაუწყებელს).	

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

№	ავტორი	შენიშვნა	გათვალისწინების მდგომარეობა
8	**მომხსენებელი**	კანონპროექტის მე-2 მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ნოემბრიდან.“.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

№	ავტორი	შენიშვნა	გათვალისწინების მდგომარეობა
9	მომხსენებელი	კანონპროექტის მე-2 მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ნოემბრიდან.“.	**გათვალისწინებულია, ასახულია ტექსტში**